



საქართველოს უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ქიმერიძე

**ქართლის მეფეები: რევი, მირიანი და
ქრისტიანობის დამკვიდრება ქართლის
სამეფოში**

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(კვალიფიკაციის კოდი - 1004 - ისტორია)

თბილისი

2026

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა სკოლაში

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ქორიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა სანაძე, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

საბჭოს წევრი: ბეჟან ხორავა, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი;

მოწვეული ექსპერტი: მარიამ ჩხარტიშვილი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოწვეული ექსპერტი: თეიმურაზ ჯოჯუა, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შიდა ექსპერტი: გონელი არახამია, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2026 წლის 25 ივნისს, 16:00
საათზე

მისამართი: თბილისი, კოსტავას #77, აუდიტორია №519

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ვებ
გვერდზე: www.ug.edu.ge

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2026 წლის

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სუ-ის სადოქტორო პროგრამების მენეჯერი
ნათია მანჯიკაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

ქართლის სამეფოში ქრისტიანობის დამკვიდრების პროცესი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ამ მოვლენამ არა მხოლოდ რელიგიური გარემო, არამედ საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და კულტურულ-ცივილიზაციური არჩევანი შეცვალა.

თემის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მიუხედავად მრავალწლიანი კვლევითი ტრადიციისა, ქართლის გაქრისტიანების პერიოდთან დაკავშირებული არაერთი ფუნდამენტური საკითხი დღემდე სადავოდ რჩება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მირიანისა და რევის დინასტიური კუთვნილების საკითხი, ვინაიდან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა მირიანის მამად რევს (ლევს) ასახელებს იმ დროს, როცა „ქართველთა ცხოვრება“ მირიანს პირველ სასანიან უფლისწულად მიიჩნევს და მის მამად სპარსეთის შაჰს, არდაშირს ასახელებს, რაც მეცნიერთა შორის განსხვავებული ინტერპრეტაციების საფუძვლად იქცა.

კვლევის აქტუალურობას განაპირობებს, აგრეთვე ის, რომ III-V საუკუნეებში ქართლის სამეფოში მიმდინარე რელიგიურ პროცესებთან დაკავშირებით განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის სამეფოს გაქრისტიანებისა და ადრეული (IV-V სს.) ქართული ეკლესიის ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევა, მათ შორის ქართლის გაქრისტიანების საკითხით დაინტერესება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იწყება, ინტენსიური, წყაროებზე დაფუძნებული კვლევა XIX

საუკუნიდან იღებს სათავეს. აქედან მოყოლებული, აღნიშნული პერიოდის ქართული ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა ასპექტს არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარი შეეხო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არსებულმა კვლევებმა ქართული ქრისტიანობის ადრეული ხანა სრულფასოვნად ჯერ კიდევ ვერ ასახა და რიგი მნიშვნელოვანი კითხვებისა ჯერ კიდევ პასუხს ელის.

დღემდე საკამათოა როგორც ქართლის სამეფოში ნინოს მოღვაწეობის, ისე IV-V საუკუნეების მთავარეპისკოპოსების რიგი და ქრონოლოგია. ვინაიდან ნარატიული წყაროები ხშირ შემთხვევაში განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს გვაწვდიან. მკვლევრები ხშირად ნარატიული წყაროს ინფორმაციებიდან რომელიმეს სუბიექტურად მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც სხვათა უგულებელყოფას იწვევს. ან საერთოდაც არგუმენტების მოშველიების გარეშე ცდილობენ მოვლენების ქრონოლოგიურ რეკონსტრუქციას. ყოველივე ამან შექმნა ფართო სპექტრი შემოთავაზებული თარიღებისა – როგორც მირიანის მოქცევის, ისე წმინდა ნინოს მოღვაწეობისა და ქართლის ეკლესიის ადრეულ მესვეურთა რიგითობის საკითხში.

თანამედროვე ეტაპზე ქართლის გაქრისტიანების საკითხს აქტიურად ეხებიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრები – ირანისტები, არმენოლოგები, კავკასიის ისტორიის სპეციალისტები. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის მკვლევრები, რომლებიც ცდილობენ ნარატიული ტექსტების ეპიგრაფიკულ, არქეოლოგიურ და ნუმისმატიკურ მასალასთან შეჯერებას და ქართლის ისტორიის უფრო ფართო, გვიანანტიკური მსოფლიოს კონტექსტში წარმოჩენას. სწორედ ამ კვლევების ფონზე დგება საჭიროება ერთიანი სურათის შექმნისა, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა დარგში მიღწეულ შედეგებს და

ქართლის გაქრისტიანების პროცესს არა ფრაგმენტულ, არამედ ერთიან კონტექსტში დაგვანახებს.

კვლევის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია ქართლის სამეფოში ქრისტიანობის დამკვიდრების წინაპირობების, გავრცელებისა და ინსტიტუციონალიზაციის კომპლექსური ანალიზი, როგორც პოლიტიკური, ისე იდეოლოგიურ-რელიგიური ისტორიის ჭრილში, იმ კონტექსტში, როდესაც ქართლი III–V საუკუნეებში ჩრდილოეთიდან სხვადასხვა მომთაბარე ტომების, ხოლო სამხრეთიდან რომისა და სასანური ირანის დაპირისპირების ეპიცენტრში იმყოფებოდა.

კვლევის მიზანია ნარატიული, ეპიგრაფიკული, ნივთიერი და ისტორიოგრაფიული წყაროების კრიტიკული გააზრებით განისაზღვროს ქართლის გაქრისტიანების ქრონოლოგია, დინამიკა და რელიგიურ-პოლიტიკური შინაარსი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამეფო ელიტის იდეოლოგიურ მზაობას, სადაც მნიშვნელოვან წინაპირობად განიხილება მანიქველოზის გავრცელება.

ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს რეე მართლის (მირიანის მამის) მეფობის პერიოდის დაზუსტება და მისი როლის განსაზღვრა ქართლის რელიგიურ-პოლიტიკურ პროცესებში, ასევე წმინდა ნინოს მისიონერული მოღვაწეობის ქრონოლოგიის რეკონსტრუქცია ქართული და უცხოური წყაროების კრიტიკული შედარების საფუძველზე.

კვლევა ასევე მიზნად ისახავს ქართლის ადრეული საეკლესიო იერარქიის ფორმირების პროცესის დაზუსტებას.

კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგია ეფუძნება შედარებით-ანალიტიკურ და ინტერდისციპლინურ მიდგომებს. კვლევა ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს – როგორც ქართულ ნარატიულ მატრიანებს, ისე სომხურ და ბერძნულ-რომაულ ტექსტებს, აგრეთვე ეპიგრაფიკულ, არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მასალას. თითოეული წყარო გაანალიზებულია ისტორიული კვლევის თანამედროვე პრინციპების შესაბამისად, მათი შინაარსობრივი თანხვედრისა და განსხვავებების გათვალისწინებით.

დამატებით, ნაშრომი მიმართავს ისტორიოგრაფიულ-კრიტიკული განხილვის მეთოდს, რომლის მიზანია ქართული და უცხოური კვლევების – როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე – შეფასება არგუმენტების სიმყარისა და წყაროთა ინტერპრეტაციის სიზუსტის კუთხით. გაანალიზებულია ისეთ მკვლევართა ნაშრომები, როგორებიც არიან მ. ბროსე, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ლომოური, კ. თუმანოვი, გ. მელიქიშვილი, მ. ჩხარტიშვილი, მ. სანაძე, ვ. გოილაძე და სხვები, აგრეთვე უცხოელი ავტორები, რომელთა კვლევები სხვადასხვა კუთხით აშუქებენ როგორც ქართლის მეფეების ქრონოლოგიას, ისე იმ დიდ რელიგიურ გარდატეხას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ საზოგადოებაში გვიანი ანტიკურობისა და ადრე შუა საუკუნეების მიჯნაზე. ამ მიდგომის საშუალებით ნაშრომი გვთავაზობს ახალ, სინთეზურ ხედვას, რომელიც აერთიანებს როგორც წყაროთმცოდნეობით, ისე ინტერპრეტაციულ დონეზე მიღწეულ შედეგებს და ქართლის გაქრისტიანების პროცესს გვიჩვენებს, როგორც დიდი პოლიტიკურ-იდეოლოგიური გარდატეხის ადგილობრივ გამოვლინებას.

მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა

პირველ რიგში, ნაშრომში შემოთავაზებულია დამატებითი არგუმენტები ქართლის მეფის, რევ მართლისა და მირიანის მამა რევის იდენტიფიკაციის კუთხით, რითაც უფრო გამყარებულია მ. სანაძის ამ მიმართულებით ადრე გამოთქმული თვალსაზრისი. გარდა ამისა, დამატებითი არგუმენტებია წარმოჩენილი უკვე საკუთრივ მირიანის მამა რევის და სასანიანი უფლისწულის, ჰორმიზდის იგივეობის შესახებ. ყოველივე ეს ქართლის სამეფო დინასტიის გენეალოგიას ბუნებრივად აკავშირებს სასანიანთა სამეფო სახლთან და ქმნის საფუძველს ქრონოლოგიური სურათის უფრო მკაფიოდ აღსადგენად — ქააბა-ი ზარდოშთის, პაიკულისა და ქართული ნარატიული ტრადიციის ცნობათა სინქრონიზაციის გზით. ამავე მიდგომით ახლებურად იხსნება ლეონტი მროველის ტექსტში მირიანის ირანულ წარმომავლობასთან დაკავშირებული რიგი შეუსაბამოებები, რომლებიც აქამდე ან უგულებელყოფილი იყო, ან მხოლოდ ტექსტოლოგიურ შეცდომად განიხილებოდა.

მეორე მხრივ, ნაშრომში დაზუსტებულია რევ მართლის (რევ ნიზის), იგივე მირიანის მამა რევის მეფობის ქრონოლოგიური ჩარჩო და ნაჩვენებია, რომ მისი მოღვაწეობა შესაძლოა IV საუკუნის დასაწყისამდე (დაახლ. 308 წლამდე) გაგრძელებულიყო, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წმინდა ნინოს მისიონერული საქმიანობის დასაწყისი სწორედ რევის მეფობის ბოლო ეტაპს უნდა დამთხვეოდა.

და ბოლოს, ნაშრომში ახლებურად არის დასაბუთებული წმინდა ნინოს ქართლში მოღვაწეობის ქრონოლოგია: მისი ქართლში შემოსვლა 303 წელს და გარდაცვალება 338 წელს. ეს თვალსაზრისი გამყარებულია ქართული ნარატიული წყაროების ანალიზითა და სომხურ-ბიზანტიური პარალელების გადამოწმებით, ასევე გლობალური პოლიტიკურ-რელიგიური კონტექსტის გათვალისწინებით.

ქრონოლოგიის დადგენისას ყურადღება გამახვილებულია დიოკლეტიანეს რეპრესიებიდან კონსტანტინეს რელიგიურ რეფორმებამდე არსებულ მდგომარეობაზე.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და შემოთავაზებული ქრონოლოგიური რეკონსტრუქციები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. წარმოდგენილი მასალა ხელს უწყობს ქართლის გაქრისტიანების პერიოდის ისტორიული მოვლენების უფრო ზუსტ გააზრებას და არსებული ისტორიოგრაფიული პრობლემების გადახედვას.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა მდიდარია: დამუშავებულია საკვლევ პერიოდთან დაკავშირებული ქართული და უცხოური (სომხური, ბერძნულ-რომაული, ირანული, კოპტური) ნარატიული წყაროები. გამოყენებულია აგრეთვე ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა, რომლებიც, ერთი მხრივ, აზუსტებს ქრონოლოგიის საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ, იძლევა ისტორიულ პირთა დინასტიური კუთვნილების დადგენის შესაძლებლობას.

საკითხის ფუნდამენტურად შესწავლის მიზნით დამუშავებულია ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრი, მათ შორის, გათვალისწინებულია უახლეს გამოკვლევათა შედეგები. ნაშრომი ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას და ითვალისწინებს სხვადასხვა დარგში დაგროვილ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს საკვლევ პერიოდის ისტორიული რეკონსტრუქციის საფუძვლიანობას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 151 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. აქედან - პირველი თავი სამ, მეორე ორ, ხოლო მსამე ხუთ ქვეთავს მოიცავს.

I თავი — სასანიანთა ეპოქის დასაწყისი ქართლის სამეფოში და გაქრისტიანების წინაპირობები

1.1 სასანიანების დამკვიდრება ქართლში

ქვეთავში მრავალმხრივად არის განხილული ქართლის სამეფოში სასანიანთა დინასტიის დამკვიდრების ისტორიული პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ამაზასპის მეფობის დასასრულსა და რევ მართლის გამეფებასთან. კვლევა ეფუძნება როგორც ქართულ ნარატიულ წყაროებს, ისე ეპიგრაფიკულ წყაროებს, განსაკუთრებით ქააბა-ი ზარდოშთის წარწერას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მოვლენათა უფრო ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა. ტექსტში კრიტიკულად არის განხილული „ქართველთა ცხოვრების“ გადმოცემა, რომელში არსებული მეფეთა რიგის გამეორება და ინფორმაციების არასწორ ქრონოლოგიურ ადგილას განთავსება მნიშვნელოვნად ცვლის ქართლის სამეფოში მიმდინარე პროცესების რეალურ სურათს, თუმცა, მოთხრობილი მოვლენების კრიტიკული გაანალიზება და პარალელურ წყაროებთან მათი შეჯერება შესაძლებელს ხდის რეალური სურათის რეკონსტრუქციას. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ქართლის სამეფო ტახტზე სასანიანთა დამკვიდრება უნდა განვიხილოთ, როგორც იმპერიული პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიის რეგიონზე კონტროლის გამყარებას.

1.2 რევი-ჰორმიზდი

რევ მართლის პიროვნების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ თემად რჩება, რაც განპირობებულია როგორც მისი წარმომავლობის, ისე მმართველობის ქრონოლოგიის განსხვავებული ინტერპრეტაციებით. ადრეული და თანამედროვე მკვლევრები მის მეფობას სხვადასხვა პერიოდით ათარიღებენ, თუმცა ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროების კრიტიკული ანალიზი საშუალებას იძლევა, რევი განვიხილოთ როგორც ქართლის პირველი სასანიანი მეფე, ამაზასპის დისწული და ჰორმიზდ-არდაშირის შვილი, იგივე ჰორმიზდი.

რევ-მართლის ჰორმიზდთან გაიგივებისთვის მნიშვნელოვანი არგუმენტი მისი სახელის ეტიმოლოგიაა. „რევ“ უნდა იყოს შემოკლებული ფორმა კომპოზიტისა „რევ ნიზ“, რაც ქართულად „სიცრუის დამამხობელს“ ნიშნავს. მეფის ქართული სახელი - „რევ მართალი“ კი სწორედ ამ კომპოზიტის თარგმანია. სახელის სემანტიკა აშკარად ეხმიანება ზოროასტრიული მოძღვრების ცენტრალურ დუალიზმს და ავესტური Ahura Mazda-ს, იმავე მიწიერი ფორმით Hormizd (Ohrmazd)-ის, ეპითეტს. ამრიგად, „რევ ნიზი“ მეტსახელია ქართლის მეფისა, რომლის რეალური სახელი უნდა ყოფილიყო ჰორმიზდი.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ-რომაული წყაროები ჰორმიზდს წარმოგვიდგენენ, როგორც აჯანყებულ უფლისწულს, რაც შინაარსობრივად ემთხვევა ქართულ ნარატიულ ტრადიციას, თუმცა „ქართველთა ცხოვრებაში“ ეს ცნობები მირიანის ეპოქაშია გადატანილი რევისა და მირიანის ბიოგრაფიების შერწყმის გამო.

დასავლურ წყაროებში მოხსენიებული ჰორმიზდი სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია ქუშანშაჰის

მმართველ სასანიან უფლისწულთან, თუმცა, კვლევა ცხადყოფს, რომ ამ გაიგივებას სერიოზული წინააღმდეგობები ახლავს. ტექსტობრივი, გეოგრაფიული და ისტორიული კონტექსტი მიუთითებს, რომ ჰორმიზდი კავკასიისპირეთის სივრცეში მოღვაწე ისტორიული პიროვნებაა. იმავეზე მეტყველებს ზოსიმეს ცნობაც, სადაც ჰორმიზდი სომხეთის მეფესთან ერთად ჩნდება რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (306-337) კარზე, რაც, ვფიქრობთ, საეჭვოს ხდის მის ქუშანშაჰის უშუალო მმართველად წარმოდგენას.

ამრიგად, რევ-ჰორმიზდი უნდა განვიხილოთ როგორც აქტიური მონაწილე სასანიანთა დინასტიურ დაპირისპირებებში, რომლის მოღვაწეობა დაკავშირებულია სპარსეთის შიდა კრიზისთან და ქართლის როლის ზრდასთან რეგიონულ პოლიტიკაში.

1.3 ქრისტიანობის წანამძღვრები და მანიქეველობა იბერიის სამეფოში

ქვეთავში განხილულია ქართლში ქრისტიანობის გავრცელების წინაპირობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მანიქეიზმის როლს. მანიქეური ტექსტებისა და სხვა წყაროების ანალიზით ნაჩვენებია, რომ ეს მოძღვრება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რეგიონში, განსაკუთრებით ელიტარულ წრეებზე. ნარატიული წყაროები მიუთითებენ, რომ რევ მართალი, მამის, ჰორმიზდ-არდაშირის მსგავსად, თავადაც იყო მანიქეური იდეების გამზიარებელი, რაც აისახა მის მიერ გატარებულ რელიგიურ რეფორმებში. ქვეთავში დასაბუთებულია, რომ მანიქეიზმი აღმოჩნდა გარდამავალი იდეოლოგიური სისტემა, რომელმაც გაამარტივა მონოთეიზმის მიღება და შექმნა შესაბამისი მსოფლმხედველობრივი საფუძველი ქრისტიანობის დასამკვიდრებლად.

II თავი — გეოპოლიტიკური ცვლილებები და სარწმუნოებრივი კურსის ტრანსფორმაცია

2.1 სომხეთისა და ქართლის საკითხი ირან–რომის ურთიერთობებში (III–IV სს.)

ქვეთავში გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება და ქართლისა და სომხეთის როლი რომისა და სასანური ირანის დაპირისპირების კონტექსტში. განხილულია III–IV საუკუნეების ძირითადი სამხედრო–პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის ნისიბინის ზავი, როგორც რეგიონში ძალთა წონასწორობის გადანაწილების საკვანძო ფაქტორი. ნაჩვენებია, რომ ქართლი იქცა იმპერიული ინტერესების შეჯახების სივრცედ, სადაც პოლიტიკური არჩევანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ კუთვნილებასთან. ქვეთავში დასაბუთებულია, რომ სწორედ ამ გეოპოლიტიკურმა დამაბულობამ შექმნა ის პირობები, რომლებშიც ქრისტიანობა იქცა არა მხოლოდ სარწმუნოებრივ, არამედ პოლიტიკურ არჩევანდაც. შესაბამისად, ქართლის გაქრისტიანება განხილულია როგორც რეგიონული ძალთა წონასწორობის ცვლილების შედეგი.

2.2 რომის სარწმუნოებრივი პოლიტიკა იმპერატორების დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს პერიოდში

ქვეთავში განხილულია რომის იმპერიის რელიგიური პოლიტიკის ევოლუცია რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284–305) პერიოდის დევნებიდან კონსტანტინე დიდის (306 – 337) ეპოქის რადიკალურ გარდატეხამდე. გაანალიზებულია „დიდი დევნის“ იდეოლოგიური და

პოლიტიკური საფუძვლები, ასევე ქრისტიანობის ლეგალიზაციის პროცესი მილანის ედიქტის შემდეგ. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ აისახა ეს ცვლილებები იმპერიის პერიფერიებზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. ამგვარად, ქართლში მიმდინარე რელიგიური პროცესები გააზრებულია ფართო იმპერიული ცვლილებების ფონზე.

III თავი — ქართლის გაქრისტიანება და ეკლესიის პირველი მესვეურები

3.1 წმინდა ნინოს პიროვნება ქართულ და უცხოურ ნარატიულ წყაროებსა და ტრადიციაში

წმინდა ნინო ქართულ ნარატიულ ტრადიციაში ქართლის გაქრისტიანების ცენტრალურ ფიგურად არის წარმოდგენილი, თუმცა ადრეულ პერიოდში ქართველთა განმანათლებლად წმინდა გრიგოლი მიიჩნეოდა, მართალია, წმ ნინოს შესახებ არსებული ცნობები ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება, თუმცა მისი კულტის გაძლიერება ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილების (608 წ.) ხანიდან იწყება და განსაკუთრებით თვალსაჩინო IX საუკუნიდან ხდება;

წყაროთა ანალიზი აჩვენებს, რომ წმინდა ნინოს შესახებ თხრობა მრავალშრიანია და მოიცავს როგორც ადრეულ ისტორიულ ბირთვს (ბერძნულ-ლათინურ და სომხურ ტრადიციებში), ისე გვიანდელ ჰაგიოგრაფიულ დანამატებს. შესაბამისად, მისი მოღვაწეობის რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა წყაროს კრიტიკული შედარების საფუძველზე.

3.2 ქართლის განმანათლებლის სახელი

ქვეთავი ეძღვნება წმინდა ნინოს სახელის ფორმათა და მათი გავრცელების კვლევას სხვადასხვა წყაროს საფუძველზე. ქართლის განმანათლებელი სხვადასხვა წყაროში განსხვავებული სახელით იხსენიება: ბერძნულ-რომაულში „ტყვე ქალად“, სომხურში — „ნუნედ“, ქართულში — „ნინოდ/ნინად“. მისი სახელის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში არაერთი ვერსიაა გამოთქმული. წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე დასკვნილია, რომ სახელის პირველადი ფორმა უნდა ყოფილიყო „ნუნე/ნუნა/ნონა“, რომელიც ლათინურ ტერმინს უკავშირდება, ხოლო ქართულ ტრადიციაში დროთა განმავლობაში ტრანსფორმირდა ფორმად „ნინო“.

3.3 რიფსიმეანები და წმინდა ნინო

რიფსიმეანების სიუჟეტი წმინდა ნინოს ცხოვრების ერთ-ერთი საკვანძო და სადავო საკითხია, რომლის ირგვლივ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

წყაროთა კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ რიფსიმეანების ისტორიასთან წმ. ნინოს კავშირის უგულებელყოფა უსაფუძვლოა, ამასთან, სომხეთში წამებულ ქალწულებთან ნინოს კავშირი არავითარ ქრონოლოგიურ წინააღმდეგობას არ ქმნის.

3.4 წმ. ნინოს ქართლში შემოსვლისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია

წყაროთა შედარებითი და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება წმ. ნინოს მოღვაწეობის თანმიმდევრული ქრონოლოგიური რეკონსტრუქცია: იგი ქართლში შემოდის 303 წელს და 35-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, 338 წელს გარდაიცვლება. აღნიშნული დათარიღება ეფუძნება წყაროებში სტაბილურად განმეორებად ცნობებს, განსაკუთრებით წმ. ნინოს გარდაცვალების წლის (338)

სანდობასა და იმ მითითებას, რომ იგი ქართლში შემოსვლიდან ოცდამეთხუთმეტე წელს აღესრულა. საგულისხმოა, რომ 35-წლიანი ინტერვალი სამ დამოუკიდებელ წყაროში მეორდება და სწორედ ეს რიცხვი უნდა მივიჩნიოთ პირვანდელად, მაშინ როდესაც ხელნაწერთა ნაწილში დამკვიდრებული „მეთხუთმეტე წელი“ მეორეული გადაკეთების შედეგია. სრულიად ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ გადამწერთა პრაქტიკაში სიტყვათა შემოკლების ან დაზიანების შედეგად ტექსტიდან დაიკარგა „ოცდა“, რის შედეგადაც დარჩა მხოლოდ მეთხუთმეტე.

3.5 ადრეული ქრისტიანობა ქართლის სამეფოში და ზოროასტრიზმის გავლენა მასზე

ნარატიული წყაროების მიხედვით, წმ. ნინოს ქართლში შემოსვლისას უკვე არსებობდა ჩამოყალიბებული პანთეონი (არმაზი, გაცი, გაიმი), რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაც გაქრისტიანების შესახებ თხრობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. აღნიშნული ღვთაებების წარმომავლობის შესახებ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებებია, თუმცა მრავალი მკვლევარი მათ ირანულ-მითრულ რელიგიურ სამყაროს უკავშირებს. აღსანიშნავია, რომ ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრება მოხდა უკვე არსებული რელიგიური გარემოს გათვალისწინებით და არსებული სიმბოლოებისთვის ახალი შინაარსის მინიჭებით. ძველი საკრალური სიმბოლოები (მაგ., ხე) ქრისტიანულ კონტექსტში გარდაიქმნა და ახალი მნიშვნელობა შეიძინა. სპარსული კულტურულ-რელიგიური მემკვიდრეობის კვალი იკვეთება როგორც ტექსტებში, ისე ფოლკლორში, ენასა და მატერიალურ კულტურაში, რაც აჩვენებს, რომ ქართული ქრისტიანობა ჩამოყალიბდა ძველი და ახალი რელიგიური ფილოსოფიის სინთეზის საფუძველზე.

3.6 ქართლის ეკლესიის ჩამოყალიბება და პირველი ეპისკოპოსები

ქართლის ეკლესიის ადრეული მესვეურების ქრონოლოგია ქართულ წარწერებში წინააღმდეგობრივი და არასრულია, თუმცა მათი კრიტიკული ანალიზი და სომხურ წყაროებთან შეჯერება შესაძლებელს ხდის ძირითადი ეტაპების რეკონსტრუქციას. ქართლის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსის, იოანეს დადგინება დაახლოებით 327 წელს უნდა მომხდარიყო. შემდგომ პერიოდში ეპისკოპოსთა მიმდევრობა და მათი ზეობის თარიღები წყაროთა სხვადასხვაობის გამო დაზუსტებას საჭიროებს, თუმცა შესაძლებელია იაკობის, იობის, ელიასა და სხვა მღვდელმთავართა მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა.

კვლევამ აჩვენა, რომ ეკლესიის იერარქიის ფორმირება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართლის პოლიტიკურ ვითარებასთან. V–VI საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე პოლიტიკურმა და კონფესიურმა პროცესებმა საბოლოოდ შექმნა საფუძველი ეკლესიის ინსტიტუციური გარდაქმნისთვის — ეპისკოპოსობიდან კათოლიკოსობამდე, რაც VI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, პეტრეს კათოლიკოსად დადგინებით დასრულდა.

დასკვნა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ქართლის სამეფოში III–IV საუკუნეებში მიმდინარე პოლიტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური პროცესების კვლევას. კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ:

1. სომხეთის მეფე ხოსროსთან დაკავშირებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში ქართლის მეფე ასფაგურის მონაწილეობა უნდა გამოირიცხოს. აღნიშნული

დასკვნა ემყარება ზოროასტრის ქაბახას წარწერის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ამაზასპ II 262 წლისთვის ჯერ კიდევ ცოცხალია, მაშინ როდესაც ხოსრო 253 წელს იღუპება. აქედან გამომდინარე, ქრონოლოგიურად შეუძლებელია ასფაგური ყოფილიყო ხოსროს მოკავშირე, რაც ქართულ ნარატიულ ტრადიციაში დაცული ცნობების გადახედვის აუცილებლობას აჩენს. ამავე მონაცემთა ანალიზი გვამღვეს საფუძველს დავასკვნათ, რომ ხოსროსთან დაკავშირებულ მოვლენებში ქართლის მხრიდან მონაწილეობდა სწორედ ამაზასპ II. „ქართველთა ცხოვრებაში“ ამაზასპისა და სომხეთის მეფის, ხოსროს შაბურთან ერთობლივი ბრძოლის ქრონიკა ასფაგურთან ჩასმულია არასწორად, ქრონოლოგიის დარღვევით. მიზეზი: ლეონტის ხელთ არსებულ ქრონიკაში ქართლის მეფის სახელი არ ეწერა, რამაც განაპირობა ქრონიკის არასწორი განთავსება.

2. ქართულ ნარატიულ წყაროებში არსებული ქრონოლოგიური წინააღმდეგობები განპირობებულია ამაზასპის შემდგომ მირიანამდე მეფეთა რიგის გაორმაგებით, ერთი და იგივე მოვლენების განსხვავებულ პროცესებად აღქმისა და პირველი სასანიანი მეფეების, რევისა და მისი მემკვიდრის, მირიანის ცხოვრებების ნებით თუ უნებლიედ შერწყმით (კერძოდ „ქართველთა ცხოვრებაში“).

3. ეპიგრაფიკული მონაცემებისა და ნარატიული წყაროების ურთიერთშეჯერებით დასტურდება, რომ ქართლის ტახტზე პირველი სასანიანი მეფე იყო არა მირიანი, არამედ მისი მამა — რევ მართალი, რომელიც არის ამაზასპის დისწული და სომხეთის მეფის ძე. როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, ამაზასპის მეფობის ბოლო პერიოდს სომხეთში ჰორმიზდ-არდაშირის მეფობა დაემთხვა, შესაბამისად, რევ მართალი (რომელიც არის კიდევაც მირიანის მამა) სწორედ სომხეთის ამ სასანიანი მეფის,

ჰორმიზდ-არდაშვილის შვილია, თავადაც ჰორმიზდი. სპარსულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში იგი, ჯერ როგორც ჰორმიზდ-არდაშირის შვილი, ჰორმიზდაკი, შემდეგ კი როგორც დიდი ჰორმიზდი ფიგურირებს. რევისა და ჰორმიზდის გაიგივების საფუძველს მისი სახელი გვაძლევს, რომლის ეტიმოლოგია ცხადყოფს, რომ რევ მართალი არის კომპოზიტ რევ ნიზ-ის (სიცრუის დამამხობლის) ქართული ვერსია. ეს ეპითეტი კი სწორედ ჰორმიზდს, როგორც მიწიერ აპურა-მაზდას მიემართება. ამ იდენტიფიკაციას ამყარებს როგორც ქრონოლოგიური თანხვედრები, ისე ნარატიული და ისტორიოგრაფიული მონაცემების კრიტიკული გაანალიზება.

ჰორმიზდი, გარდა სპარსული ეპიგრაფიკული ძეგლებისა, მოხსენიებულია ბერძნულ-რომაულ ნარატიულ წყაროებში, როგორც აჯანყებული უფლისწული, რომელიც სპარსეთის ტახტისთვის იბრძვის. წყაროებში აღნიშნული პროცესები ზუსტად ემთხვევა „ქართველთა ცხოვრებაში“ გადმოცემულ ისტორიას, რომელიც ქართლის მეფის სპარსეთის ტახტისათვის ბრძოლაზე მოგვითხრობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს თხრობა „ქართველთა ცხოვრებაში“ მირიანის ეპოქაშია მოთავსებული, მისი შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს უფრო ადრეული პერიოდის მოვლენებთან და რომ პირველი სასანიანი მეფის — რევის — და მისი ვაჟის, მირიანის ცხოვრებები ერთმანეთშია შერწყმული. ამ შერწყმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა მივიჩნიოთ მირიანის მმართველობის არაბუნებრივად ხანგრძლივი პერიოდი, რაც არაერთ ქართველ მკვლევარს აფიქრებდა და აჩენდა ეჭვს წყაროს სანდოობის მიმართ. რევისა და მირიანის ცხოვრებების გამიჯვნა საშუალებას გვაძლევს აღნიშნული შეუსაბამობა ავხსნათ, რითაც ქრონოლოგიური სურათი უფრო მკაფიო და თანმიმდევრული გახდება.

4. რვე მართალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართლის პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსის ფორმირებაში. პირველ რიგში, იგი გამზიარებელია მანიქეური სწავლებისა, რომლის გამოც მან ქართლის სამეფოში ჩვილთა მსხვერპლშეწირვა აკრძალა, ამასთან, მისი მმართველობა, ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით, IV საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი წმინდა ნინოს მისიონერული საქმიანობის საწყისი ეტაპის მომსწრეა. მისი ცხოვრების აღმწერი ქრონიკის ბოლო ნაწილს უნდა მიეკუთვნებოდეს „ქართველთა ცხოვრების“ ფრაზა: მას ჟამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი ნინო. ვფიქრობთ, ამ ფრაზამ გარკვეული როლი იქონია რვეისა და მირიანის ცხოვრებების შერწყმაში. ამდენად, რვეი უნდა განვიხილოთ იმ ფიგურად, რომლის ეპოქაშიც იქმნება ის პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძველი, რომელმაც შემდგომში ქრისტიანობის მიღება განაპირობა.

5. დასასრულ, შესაძლებელი გახდა წმინდა ნინოს მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოს დაზუსტებაც. სხვადასხვა ნარატიული ტრადიციის ურთიერთშედარება და მათი გლობალურ პოლიტიკურ კონტექსტთან შეჯერება იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ნინოს ქართლში შემოსვლა უნდა დათარიღდეს 303 წლით, ხოლო მისი გარდაცვალება — 338 წლით.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:

1. *ქართლის ეპისკოპოსთა ზეობის თარიღისათვის იოანედან პეტრე კათოლიკოსამდე.* საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა -

ტენდენციები და გამოწვევები IV- მასალები. 2020.
გვ. 181-186, თბილისი,;

2. *ირანული რელიგიების გავლენა ქართულ კულტურაზე*. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციის შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე I - მასალები. 2023 გვ. 432-442. ბათუმი;



University of Georgia

School of Arts and Humanities

Doctoral program in History

Manuscript Copyright Protected

Ketevan Kimeridze

**The Kings of Kartli Rev and Mirian, and
the Establishment of Christianity in the
Kingdom of Kartli**

*of the dissertation submitted in Partial Fulfillment of the
Requirements for the Academic Degree of Doctor of
History*

Dissertation Herald

(Qualification code: 1004 – History)

Tbilisi,

2026

The doctoral research was conducted within the Department of History at the School of Arts and Humanities of the University of Georgia.

Chairperson of the Dissertation Board: Professor Tamar Koridze, Doctor of Historical Sciences;

Academic Supervisor: Professor Manana Sanadze, Doctor of Historical Sciences;

Board member: Professor Bejan Khorava, Doctor of Historical Sciences;

External Reviewer: Professor Mariam Chkhartishvili, Doctor of Historical Sciences

External Reviewer: Professor Teimuraz Jojua, Doctor of Historical Sciences

Internal Reviewer: Professor Goneli Arakhamia, Doctor of Historical Sciences

The defense of the dissertation will be held on June 25, 2026. Venue: Room No. 519, Building IV, The University of Georgia, 77a M. Kostava Street, Tbilisi, Georgia.

The complete text of the dissertation is available at the Library of the University of Georgia and on the University's official website: www.ug.edu.ge

The dissertation was sent on

Secretary of the Dissertation Board

Doctoral Studies Manager of the University of Georgia
Natia Manjikashvili

Dissertation Overview

Relevance of the Research Topic

The process of establishing Christianity in the Kingdom of Kartli is one of the most important issues in the history of Georgia. This event transformed not only the religious environment, but affected the foreign policy and determined the cultural-civilizational choice.

The relevance of the subject is determined by the fact that, despite a long research tradition, a number of fundamental questions surrounding the period of the Christianization of Kartli remain controversial to this day. The issue of the dynastic belonging of Mirian and Rev is especially noteworthy: the *Chronicle of the Conversion of Kartli* identifies Rev (Lev) as Mirian's father, while the *Georgian Chronicles* presents Mirian as the first Sasanian prince and names the Persian Shah Ardashir as his father — a discrepancy that has generated markedly divergent interpretations among scholars.

The relevance of the research is further underscored by the multiplicity of perspectives regarding the religious processes taking place in the Kingdom of Kartli throughout the 3rd-5th centuries. Although the study of the Christianization of the Kingdom of Kartli and individual questions of the history of the early (4th-5th centuries) Georgian Church, including interest in the Christianization of Kartli, dates back to the Middle Ages, intensive, source-based research commenced in the 19th century. Since that time, various dimensions of the history of the Georgian Church of this period have been examined by a number of Georgian and foreign scholars; however, the extant studies have not yet adequately reflected the early period of Georgian

Christianity, and a number of fundamental questions remain unresolved.

The sequence and chronology of both Nino's activities in the Kingdom of Kartli and the bishops of the 4th–5th centuries remain heavily disputed, since narrative sources frequently offer conflicting and mutually exclusive accounts. Quite often, scholars show bias by attaching greater importance to certain details of a narrative source while neglecting others; or, they sometimes attempt to reconstruct the chronology of events without an argument. This has produced a wide range of proposed dates for the conversion of Mirian, the missionary activities of Saint Nino, and the succession of the early leaders of the Church of Kartli.

